”ფახთაქორი” (ტაშკენტი) – ”დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

ტაშკენტი. ”ფახთქორის” ცენტრალური სტადიონი. 4 ივნისი.

”ფახთაქორი”: რაშიდოვი, იაკიმცოვი, ბელიალოვი, ჟურავლიოვი, დენისოვი, პეტრუშინი, ბონდარენკო, იაკუბიკი, კაბაევი (ბაიმეტოვი), ამრიევი, სემენკო (ჟილკინი).

”დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ანდღულაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი (არზიანი), კაკილაშვილი, სვანაძე, თავაძე, ჟვანია, ჯოხაძე, მესხი (გურული).

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

გააფრთხილეს ჟვანია.

დუბლიორები - 0:2. ბურთები გაიტანეს ბარათაშვილმა და ფრიდონაშვილმა.

კვლავ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ თბილისის ”დინამოს” დიდი რაოდენობით აკლია წამყვანი ფეხბურთელები და ამის გამო გუნდი თავის შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო დაბლა თამაშობს, მწვრთნელებს ამჯერად მოუხდათ ორი დებიუტანტის გამოყვანა (არზიანი, გურული). ასეთ მძიმე ვითარებაში დინამოელთა წინააღმდეგ მეტოქეები საგანგებო მობილიზებით თამაშობენ, მით უმეტეს ”ფახთქორი”, რომელიც ახლა ლიდერთა შორის იმყოფება.

მასპინძლებს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჰქონდათ საგრძნობი უპირატესობა, მეტოქის კართან მათ მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს.

რამდენიმე წუთის დაწყებული იყო თამაში, როცა სტუმრების მხარეს დაინიშნა კუთხური. მოაწოდა ამრიევმა, ბურთი მოხვდა ძელს, შემდეგ - ჟურავლიოვს და მან ანგარიში გახსნა - 1:0.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა შეძლეს კონტრთამაშის შექმნა, ენერგიულად მოქმედებდნენ ჯოხაძე, ჟვანია, გურული, მთელ რიგ შემთხვევებში ”ფახთაქორის” საჯარიმო მოედანზე იქმნებოდა სახიფათო ვითარებანი, მაგრამ 62-ე წუთზე ამრიევმა მეორე ბურთი გაიტანა დინამოელთა კარში და მასპინძელთა გუნდმა გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

”ლელო”, 6 ივნისი, 1982 წ.